№ 276 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ხელიხლადი მეორე

ფასი 1 მან. კარასკევი, 5 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებანი),
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარიონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას
კომპოზიტორ
ნიკოლოზ სულხანიშვილის
გარდაცვალებას.

ანნა სულხანიშვილისა შვილებით: ცირა, ნორა, ნინა და ფარნაოზ თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის მეუღლის, ხოლო მეორენი საყვარელ მამის
ნიკოლოზ სულხანიშვილის
პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში, დილის 11 ნახევარ საათსა და საღამოს 6 საათზე. 204 3—1

ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გამგეობის წევრი კომპოზიტორ
ნიკოლოზ სულხანიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ქვაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 7 დეკემბერს. 204 3—1

ქართულ სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აუნაზღაურებელ წევრის თანამშრომელის კომპოზიტორ
ნიკოლოზ სულხანიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ტაძარში. 204 2—1

სახელმწიფო თეატრი
ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.
პარასკევს, დეკემბრის 5-ს, შუადღეს, ზალიპსკაიას, ალჩევსკაიას, ერმოლინსკაიას, ზალიპსკისა და საბინინის მონაწილეობით
ჰოფმანის ზღაპრები
შაბათს, დეკემბრის 7-ს ოპერა მუშებისთვის „ფაუსტი" და „ვალპურგიის ღამე", კვირას, დეკემბრის 7-ს, დილით, 1 ბალეტი და კაპელია, 2. საბავშვო ოპერა: კატა, თხა და ცხვარი. საღამოს "პიკის ქალი". ორშაბათს დეკ. 8-ს მსახიობის დღე. 206

ქართული სამუსიკო საზოგადოების | ქართული | საქ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის
საოპერო სტუდია
ორშაბათს, 8 დეკემბერს მართავს ოპერას
„თქმულება შოთა რუსთაველზე"
სახალხო თეატრში (ზუბ. სახლი)
მუსიკა დ. არაყიშვილისა
192 3—3

ქ. ტფილისის მოსამსახურეთა და მომუშავეთა საყურადღებოდ.

სასურსათო განყოფილება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, თანახმად შრომის და მომარაგების სამინისტროს დავალებისა, შეუდგა სასურსათო წიგნაკების და პურის ბარათების დარიგებას მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის, რომლებითაც მიეცემათ სურსათი სახელმწიფო მომარაგების ფონდიდან.

დაწესებულებანი, ქარხნები და სამრეწველოები მოვალენი არიან სასწრაფოდ წარმოადგინონ სასურსათო განყოფილებაში (დამფუძნებელ კრების და შტაბის ქუჩის კუთხე) სია მოსამსახურეთა და მომუშავეთა და მათი ოჯახური შემადგენლობისა (ცალკე ჩამოთვლილ ბავშვები და ნათესავები), მათი პასპორტები ან პიროვნების სხვა მოწმობები, ბინა იყოს მათი სახელი და გვარი), ბინის წიგნები და აგრეთვე საალფავიტო ბარათები, შედგენილი ოჯახის თვითეულ წევრებზედ ცალკე.

შენიშვნა: ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედ-მამა შრომის უნარს მოკლებულნი, ძმები 17 წლამდე, საზრუნავი დები და შვილები.

საალფავიტო ბარათები მოთხოვნილებისათანავე ეძლევათ დაწესებულებებს და სამრეწველოებს სასურსათო განყოფილებიდან 15 დეკემბრამდე ა/წ.

წიგნაკები და ბარათები, დამზადებული სიების მიხედვით მიეცემათ, სამრეწველოების და დაწესებულებათა წარმომადგენლებს მომუშავეთა და მოსამსახურეთათვის დასარიგებლად.

შეძლებისდაგვარად მოწყობილი იქნება ბარათების და წიგნაკების დარიგება დიდ ქარხანა-სამრეწველოებში ადგილობრივად.

სიები შემოწმებულ უნდა იქნას სამრეწველოების და დაწესებულებათა უმფროსების მიერ და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის მიერ.

ყველა ყალბი ცნობების მომცემნი სურსათის ხვედრის ზედმეტად მიღებისათვის მკაცრად დაისჯებიან.

მუშათა მომარაგების რწმუნებული.
200 2—2

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად, შემდეგი საგნების განსახილველად: 1. გამგეობის მოხსენებისა საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1920 წ. საექსპლოატაციო ხარჯთ აღრიცხვისა, 3 სარევიზიო წევრების არჩევისა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—3 189

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია ამით აცხადებს, რომ წიგნთსაცავისათვის
საჭიროა მომუშავეები
რომელთაც უნდა იცოდნენ ქართული გარდა ევროპის ენებიც და ამასთანავე უნდა ჰქონდეთ კარგი და გარკვეული ხელი. მსურველთ უნდა წარმოადგინონ თხოვნები დეკემბრის 10-მდე საბიბლიოთეკო კომისიის სახელობაზე, თხოვნა დაწერილი უნდა იყოს საკუთარის ხელით ქართულად და დართული უნდა ჰქონდეს წერის ნიმუშები სხვა ენებზე. პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტში წიგნთსაცავის კომისიის წევრებთან.
3—3 191 **სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კომისია.**

ამიერ კავკასიის ბანკი
აცხადებს, რომ ამა წლის 28 გიორგობისთვეს
გაიხსნა გათუმში მისი განყოფილება,
რომელიც ყველა საბანკო ოპერაციებს აწარმოებს. 202 1—1

გზა-ტკეცილების და წყალსავალ გზების სამართველო.

საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილზე მიმოსვლა აღდგენილია.

320 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

5 ნოემბერი, 1919 წ. № 63.

დანიშნულია: ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა მცხეთის კანტორისა ივანე კომახიძე მეექვსე ხარისხის მოხელეთ ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში 6 ნოემბრიდან 1919 წ.

გადაყვანილნი არიან: მაღალი ჯამაგირის ზედამხედველი გურჯაანის კანტორისა დაშვებული დროებით აღმასრულებლათ მესამე ხარისხის მოხელისა იოსებ მერაბაშვილი, ზედამხედველი წნორის-წყლის კანტორისა არჩილ ბუხრაძე, ფოთის კანტორის მეოთხე ხარ. მოხელე ნიკოლოზ ფარცხალაძე და ფოსტალიონი გაგრის კანტორისა ვასილ სერგეენკო იმავე წოდებებით: მერაბაშვილი წნორის წყალზე, ბუხრაძე გურჯაანში, ფარცხალაძე სოხუმში, სერგეენკო პილენკოვოში. სულ ყველა 6 ნოემბრიდან, მხოლოდ მერაბაშვილი და ბუხრაძე თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილია სამსახურიდან: ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა ერვანდ ტერარუთინოვი 8 ნოემბრიდან 1919 წელსა.

10 ნოემბერი, 1919 წ. № 64.

დაშვებულია: პირველი ხარისხის მოხელე ტფილისის ფოსტის კანტორისა პლატონ არჯევანიძე დროებით საგანგებო მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად 16 ნოემბრამდე, ამა წლის 5 აგვისტოდან და თანახმად 1896 წლ. 560 მუხ. კან. ძალით ზემო აღნიშნულ თანამდებობის აღსრულებისათვის ჯამაგირის მიცემით.

განთავისუფლებულია: საგანგებო მინდობილების მოხელე ოლქის სამართველოისა ივანე ბაჯბეუკ-მელიქოვი თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო, თანახმად თხოვნისა 5 აგვისტოდან 1919 წელსა.

დანიშნულნი არიან: ხეთის ფოსტის განყოფილების უფროსი ალექსი საჯაია იმავე ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. ყოფილი პირველი ხარისხის მოხელე ბაქოს ფოსტის კანტორისა გიორგი დვანაძე მესამე ხარისხის მოხელეთ ტფილისის ტელეგრაფში. დიდი-ვანის განყოფილების მოხელე შალვა ცინცაძე სესამე ხარისხის მოხელეთ ჩოხატაურის განყოფილებაში; ცინცაძე 21 ოქტომბრიდან, საჯაია 10 ნოემბრიდან, დვანაძე 11 ნოემბრიდან 1919 წელსა.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა ტელეგრაფის მოხელეები: ახალ-სენაკის მე-6 ხარ. სამუილ მაღრაძე, ხაშურის მე-4 ხარ. იოსებ გორდაძე, ფასანაურის მე-5 ხარ. მარიამ კორინთელი, ტფილისის ფოსტის კანტორის მესამე ხარისხ. სერგო მელიქ ნუბაროვი; გორდაძე ახალსენაკში, მელიქ ნუბაროვი ფოთში, კორინთელი ტფილისის ტელეგრაფში. მაღრაძე და გორდაძე 16 ნოემბრიდან, კორინთელი და მელიქ-ნუბაროვი 11 ნოემბრიდან 1919 წელსა.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა: მე-5 ხარ. ნინო იაკობაშვილისა, ანნა თულაშვილისა და ანნა ატოიანცისა, მე-4 ხარ. ოლგა წერეთლისა და მარიამ ჯავროვისა და მეორე ხარისხის მოხელე ნიკოლოზ ნონიკაშვილი, პირველნი ხუთნი 16 ნოემბრიდან, ხოლო ნონიკაშვილი პირველ ნოემბრიდან 1919 წელსა, თანახმად თხოვნისა.

გამოიცხულია სიიდან: უფროსი მექანიკოსი ოლქის სამართველოისა გერასიმე მაზმანოვი, არარატის რესპუბლიკის სამსახურში გადასვლის გამო, პირველ ოქტომბრიდან 1919 წელსა.

ფოსტა-ტელეგრაფის
სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

8 ოქტომბერი, 1919 წ. № 25.

ინიშნება აბასთუმანის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს ბუჰგალტრის უფროსი თანაშემწე ს. მუქერია გამგის თანამდებობის აღმასრულებლად და რჩება მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად 1 ოქტომბრიდან 1919 წ.

25 ოქტომბერი, 1919 წ. № 26.

ირიცხებიან სამსახურიდან პასუხის გებაში მიცემით: ნატანების საბაჟოში: ამავე საბაჟოს კონტროლიორი ნ. ელიავა 7 ოქტომბრიდან 1919 წ.

27 ოქტომბერი, 1919 წ. № 27.

ინიშნებიან: მთავარ საბაჟოში: ამავე საბაჟოს ბუჰლგალტრის უმცროსი თანაშემწე ს. კაფაფოვი ბუჰლგალტრის უფროს თანაშემწედ; თავისუფალი მოხელე მთავარ საბაჟოსი ალ. ხირსელი ბუჰლგალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური განყოფილების კურს დამთავრებული ილია ბეჟ. სალაყაია ბუჰლგალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ფოთის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე გ. ლოლობერიძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის

აღმასრულებლად და იგზავნება ნატანების საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

ოზურგეთის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად აგ. ადეიშვილი და იგზავნება მთავარ საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: სოხუმის საბაჟოში: ამავე საბაჟოს მანქანაზე გადამწერი ელენე ა. კანდიბა, თანახმად მისი თხოვნისა, ამა 6 ოქტომბრიდან.

ფოთის საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ყვავაძე, როგორც დაბადებული 1899 წელში და ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა 24 ოქტომბრიდან 1919 წ.

ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე 1 ოქტომბრიდან 1919 წ. გარდა სალაყიასი, რომელიც ინიშნება ამა 21 ოქტომბრიდან.

1 ნოემბერი, 1919 წ. № 28.

გადაყენებულნი არიან სამსახურიდან პასუხის გებაში მიცემით: ყოფილი გამგე ნატანების საბაჟოსი, აწ დროებით უმცროსი კონტროლიორი მთავარ საბაჟოსი მგალობლიშვილი, ყოფილი საწყობის ზედამხედველი ნატანების საბაჟოისა ნადრევანის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკიფორე ხომერიკი, მთავარ საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი; მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე ბ. ქუთათელაძე, ნატანების საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი.

ზემოდასახელებულნი პირნი გადაყენებულნი არიან ხსენებულ თანამდებობიდან პირველ ნოემბრიდან 1919 წ.

10 ნოემბერი, 1919 წ., № 29.

ინიშნებიან: ფოთის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე ივანე ი. ყირქესეიშვილი საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და იგზავნება სადახლოს საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად.

ახალ-ათონის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწე ვალ. ჯაფარიძე გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და იგზავნები ქუთაისის საბაჟოში მოხელეთა შტაბის გასაძლიერებლად.

ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 10 გიორგობისთვიდან 1919 წ.

10 ნოემბერი, 1919 წ. № 30.

გადაყვანილია: მთავარ საბაჟოში: ფოთის საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი ა. ხაინდრავა ამავე თანამდებობაზე 10 გიორგობისთვიდან 1919 წ.

ინიშნებიან: ფოთის საბაჟოში: ყულევის საბაჟოს გამგე, კონტროლიორის თანამდებობაზე სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდგომ კონტროლიორის კანდიდატათ ჩარიცხული, ვ. კლდიაშვილი უმცროს კონტროლიორად.

ნატანების საბაჟოში: ყოფილი საბაჟოს მოხელე, აწ მომრიგებელი მოსამართლე ლეჩხუმის მაზრის მეორე განყოფილებისა, ნ. გ. აგიაშვილი კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად და იგზავნება ქუთაისის საბაჟოში ამავე თანამდებობაზე.

სადახლოს საბაჟოში: მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე კ. ხომერიკი გამგედ.

ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 10 გიორგობისთვიდან 1919 წ.

11 ნოემბერი, 1919 წ. № 31.

ინიშნება: მთავარ საბაჟოში: მოქალაქე შალვა ქიმვარდის ძე რამიშვილი საწყობის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 32.

ინიშნება: მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე კ. ფაჩულია ყულევის საბაჟოს გამგეთ და იგზავნება მთავარ საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**
მთავარ საბაჟოს გამგე **ბ. მიქაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში.

შესწორება ცნობისა ს. დემირ-ბულახის მიწების გადაყოფის შესახებ.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში, „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ განყოფილებაში მოთავსებული იყო ცნობა სოფ.—დემირ ბულახში მიწების გადაყოფის შესახებ, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო:

„...შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც უკანონოთ სცნო ს. დემირ-ბულახში მიწების გადაყოფის მოხდენა და სხ...

უნდა იყოს. „...შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ს. დემირ ბულახში მიწების გადაყოფის შესახებ დადგენილება ჯერ არ გამოუტანია.

დამფუძნებელი კრება

3 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

თავმჯდომარე: წინა სხდომაზე დაუმთავრებელი დაგვრჩა საკითხი ტყის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს ბ. ნინიძეს.

კ. ნინიძე. ჩვენი აგრარული კანონმდებლობის თვალსაზრისით სრულიად მარტივმა საკითხმა აქ გამოიწვია. პრინციპიალური დავა. პრინციპიალური არა იმ მხრით, რომ ვითომდა მოწინააღმდეგეებმა წამოაყენეს რაიმე პრინციპიალური მოსაზრებები, არა ეს არ ყოფილა. რაც აქ წამოაყენეს ს. ფედერალისტებმა ის ჩვენი აგრარული კანონის უარყოფაა, ვეშაპელმა სთქვა: აგრარული კანონი სულელურია, ლლონტი კი ამბობდა: ეს ახალი დეკრეტი ანარქიის სათავეთ გადაიქცევაო. არც ერთი მათი მოსაზრებები არამც თუ მართალი არ არის, არამედ სრულიად დაუსაბუთებელია. სანამდის არსებითად პასუხს გავცემდე დეკრეტის მოწინააღმდეგეთ, ერთი ფაქტიური განმარტება უნდა გავაკეთო ბ. ლლონტმა სთქვა ამ ტრიბუნიდან, რომ ეს დეკრეტი ნაჩქარევათ არის შედგენილი. ბ. ლლონტი აგრარული კომისიის წევრია და მას უნდა სცოდნოდა, რომ 2 თვეა, რაც ეს დეკრეტი ირჩევა კომისიაში და მე მგონია, რომ ეს დრო სრულიად საკმარისი იყო ამ საკითხის ყოველ მხრივ გასარკვევათ. არც ის არის მართალი, რომ ამ საკითხის ჯეროვანად გასაშუქებლათ, ვითომდა მეცნიერულად დამუშავებული მასალები არ ჰქონდეს კომისიას. უნდა მოგახსენოთ, ბ. რომ სტატისტიკური მასალების საჭიროებას განსაზღვრავს თვით საგანი, საკითხი რომელიც ირჩევა. ამ შემთხვევაში არ იყო საჭიროო მასალები საერთოდ საქართველოში მიწათ-მფლობელობის და მის რაოდენობის შესახებ. აგრარული კომისიის მიზანი იყო მიწათ-მოქმედების სამინისროსათვის მიეცა ერთნაირი ხაზი აგრარულ რეფორმის გატარებისათვის, განემარტა და შეეკვსო ის მუხლები, რომლებიც ტყის მფლობელობის და სარგებლობის საკითხს ღიათ სტოვებდენ. 1917 წ. 16 დეკემბრის კანონის მე 5 ე მუხლში სწერია, რომ ტყეები არ იქნება განაწილებულია. ეს მუხლი სამინისტროს აძლევდა უფლებას ყველა ტყეები სახელმწიფო საკუთრებათ გამოეცხადებია. აგრარულ კომისიას არ შეეძლო ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიექცია და სათანადო განმარტებით განსაზღვრული ხაზი არ მიეცა სამინისტროსათვის. ჩვენ გამოვდივართ იმ უბრალო და მარტივ მოსაზრებიდან, რომელიც ამბობს, რომ სანამ სახელმწიფოსს არ ექნება შესაფერი აპარატი, მანამდე სახელმწიფოში ეკონომიური ურთიერთობა არ შეიძლება არსებითად შეიცვალოს. ჩვენ ვსცვლით ისეთ რამეს, რომლის ცხოვრებაში გატარება შეიძლება.

ჩვენ არ გვინდა დავემსგავსოთ იმ გმირს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა (ურატაძე: დონ კიხოტს არა?) ვინც კაბინეთში შეთხზული გეგმებით ფიქრობს ცხოვრების მოწყობას იმას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ჩვენ მიღებული გვქონდა ერთი პრინციპი: გლეხებს მიწა ეძლევათ კერძო საკუთრებათ. ეს პრინციპი ამ შემთხვევაშიაც უნდა იქნას დაცული. კერძო საკუთრებას ნაც.-დემ. იცავენ გაბატონებული კლასისათვის, ჩვენ კი ხალხის უმრავლესობისათვის.

წარმოდგენილი დეკრეტი ცხოვრების მოთხოვნილებებითაა გამოწვეული. არის ერობების შუამდგომლობა და სხვა. ჩვენ ამ დეკრეტით მხოლოდ ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილებს და ინტერესებს ვაკმაყოფილებთ. ეს დეკრეტი თავის თავად ახალს არაფერს არ ქმნის, გარდა ამისა ჩვენ არ გვინდა, რომ გლეხები იმაზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ, ვინემ რევოლიუციამდე. გლეხებმა უნდა ისარგებლონ ტყით ისე, როგორც ამით სარგებლობდენ რევოლიუციამდე.

რაც შეეხება სოც.-ფედერ. განცხადებას, რომ ამ დეკრეტით აზნაურებს მიეცემათ მიწაო, ეს მართალი არ არის. და თუ ვინმეს ასეთს მიეცა მიწა ჩვენ ამისი წინააღმდეგი არა ვართ, რადგანაც ნორმაზე ზევით არავის არ მიეცემა. ისე კი, ჩვენ წოდებას კი არ ვებრძვით დღეს, არამედ ვებრძვით უსამართლობას. ამ დეკრეტის მოწინააღმდეგეთ არ მოუყვანიათ ისეთი საბუთები, რომელიც უარყოფდეს მის მაღებას. ამიტომ მე აგრარული კომისიის სახელით ვითხოვ, რომ ეს დეკრეტი მიღებულ იქნას.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ მცირე შესწორებებით დეკრეტი მიღებულ იქნა.

ვ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ ყოველთვიურათ 65.827,720 მან. გადადების დეკრეტის მოქმედების განგრძობის შესახებ. დეკრეტის წინააღმდეგ ილაპარაკა ივ. გომბრიამ, დეკრეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც.-რევოლიუციონერებმა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარ გარეთ სწავლა-განათლების ან სპეციალ ცოდნის შესაძენათ გასაგზავნ პირთათვის დამატებით სამი მილიონი მანეთის გაღების შესახებ.

შემდეგ მოხდა მსჯელობის გაგრძელება ერ. დემოკრატების მთავრობისადმი შეკითხვის გამო „სიბუნიონთან“ დადებულ ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულების წინააღმდეგ ილაპარაკეს ს. დადიანმა და ალ. ასათიანმა. კამათი დასრულდა. რეზოლიუციები წარმოადგინეს ყველა ფრაქციებმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია, სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი:

რეზოლიუცია.

მოისმინა რა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა ამხანაგობა „სიბუნიონთან“ დადებულ ხელშეკრულების შესახებ, დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ მთავრობას ქონდა უფლება ასეთი ხელშეკრულების დადებისა, რომ არსებითადაც ხელშეკრულებაში საკმაოთ დაცულია რესპუბლიკის ინტერესები, და გადადის მორიგ საკითხზე.

გრ. ურატაძის მოხსენებით მუხლობრივი განიხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ.

ბ. ბერიშვილის მოხსენებით ზოგადათ განხილულ იქნა კანონ-პროექტი მუშათა დამხმარეს კანონის მე-65 მუხ. შეცვლისა.

ერობა.

საერობო კავშირის მთავარ კომიტეტში.

28 ნოემბრის სხდომაზე საერობო კავშირის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

მასწავლებელთა ჯამაგირები.

ვინაიდან დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო პროექტი სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირების 100 პროცენტით გადიდების შესახებ, ამიტომ უყურადღებოდ იქნეს დატოვებული ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის მოხსენება სახალხო მასწავლებელთათვის სექტემბრის 1-დან ჯამაგირების მომატების შესახებ.

საფუთო გადასახადი სილნაღის მაზრაში.

კომიტეტი მხარს უჭერს სილნაღის მაზრის ერობის შუამდგომლობას, რომ თხოვნით მიმართოს მთავრობას, რათა საფუთო გადასახადი სილნაღის მაზრის რკინის გზის ყველა სადგურებზე იქნეს შემოღებული. ინ-სტრუქციას დაევალა ამ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლათ ზომები მიიღოს.

შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

აღიძრას შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა საერობო კავშირის მთავარ კომიტეტის წარმომადგენელი დაშვებულ იქნეს საადგილ-მამულო ბანკის საორგანიზაციო კომისიაში.

მისალმება.

საჩხერის თემის ერობის პირველი ყრილობა მიესალმება საერობო კავშირს, დამფუძნებელ კრების და მთავრობის თავმჯდომარეს, უსურვებს მათ ხანგრძლივ და ენერგიულ მუშაობას დემოკრატიის საკეთილ დღეოთ. მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მათ მუშაობას.

დახმარება სახალხო უნივერსიტეტს.

სახალხო უნივერსიტეტის შუამდგომლობის შესახებ, რომ ერობათა კავშირის მხრივ მას დახმარება აღმოეჩინოს, საერობო კავშირის მთავარმა კომიტეტმა პრინციპიალურათ ის აზრი გამოსთქვა, რომ სახალხო უნივერსიტეტს დახმარება სჭირია, მაგრამ ამ ჟამათ უსახსრობის გამო კომიტეტს არ შეუძლია შუამდგომლობის დაკმაყოფილება და პირველ შემთხვევისათანავე, როცა მისი ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდება, შეძლების დაგვარათ ეცდება შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

ოზურგეთის სამაზრო ერობის არა ჩვეულებრივი ყრილობა.

ზოგიერთ თემებში ცენტრის გამონახვის გარშემო არსებულ უთანხმოების შესახებ ყრილობა ადგენს: „მიენდოს ერობის გამგეობას ამ საკითხების დაწვრილებითი შესწავლა ადგილობრივათ და მისი გადაწყვეტაც, რაც უნდა მოხსენდეს შემდეგ ყრილობას“.

მასწავლებლების ჯამაგირები.

თავმჯდომარის ბ-ნი ს. ჭანტურიშვილის მოხსენება მასწავლებელთათვის 25—29 მარტის საერობო ყრილობის მიერ დადგენილ ასმ ნეთიანი დამატების მოსპობის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ დამფუძნებელი კრება ადრე გამოსცემს დეკრეტს მასწავლებელთა ჯამაგირების 100% გადიდების შესახებ ერთის მხრით და, მეორეს მხრით, გამგეობას არა აქვს საშუალება ეს დამატებები აძლიოს და რომც იძლიოს, ეს წვეთი იქნება ზღვაში თუ მასწავლებელთა მდგომარეობა მთავრობამ არ გააუმჯობესა,—იწვევს დიდ კამათს, ბევრი წინააღმდეგია ამ დამატების მოსპობის მაშინაც კი, თუ გინდა მასწავლებელთა ჯამაგირები 100% გადიდდეს, ბევრიც ეთანხმება გამგეობის წინადადებას. ყრილობა ადგენს: მოიხსნას ეს ასნეთიანი დამატება იმ დღიდან და იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლებს მიეცემა მთავრობისგან 100% დამატება“.

გზატკეცილები.

ჩოხატაურის გზატკეცილის შესახებ ყრილობა, თანახმად თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილის წინადადებისა, ადგენს: 1. ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებნი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩოხატაურის გზის შეკეთებაში, გამოყვანილნი უნდა იქნან სამუშაოდ და მიეცეთ მათ მხოლოდ საკვები. 2. ერთი მესამედი იმ თანხისა (არა უმეტეს 300,000 მანეთისა) მიიღოს სამაზრო ერობამ, ორი მესამედი—კი გამოითხოვოს მთავრობის ხაზინიდან; თუ ის არ იკისრებს ამ ხარჯებს, იმ შემთხვევაში ერობამ გამოითხოვოს ეს თანხა მთავრობასგან უპროცენტო სესხის სახით, რომელიც უნდა ანაზღაურებული იქნას ამ გზის შემოსავლიდან“.

მოსამსახურეთა შტატები.

საღამოს სხდომაზე თავმჯდ. ბ. ჩხიკვიშვილი აცნობს ყრილობას კომისიის მიერ შემუშავებულ მოსამსახურეთა შტატს და ჯამაგირებს. კომისიას დაუდასტურებია გამგეობის პროექტი ახალი საერთო განყოფილების შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს გამგეობის სამდივნო, მხოლოდ რამდენიმე ცვლილება შეუტანია ჯამაგირებში. ყრილობა ღებულობს კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს მოსამსახურეთა შტატისა და მათი ჯამაგირების შესახებ, რომლის თანახმათ ენიშნება ჯამაგირათ: გამგეობის თავმჯდომარეს 5500 მან. თვეში; გამგეობის წევრთ და საერთო განყ. გამგეს—4500 მან. საექიმო განყ. გამგეს—4000 მან.; ექიმებს პუნქტებზე 3—5000 მანეთამდე; ფერშლებს—2500, ბებია ქალებს—1500 მან.; გამგეობის მდივანს—3000 სასკოლო განყ. გამგეს—მთავარ ინსტრუქტორს—4000 მან.; საადგილ-მამულო განყ. გამგეს 3,000 მან.; სატეხნიკო განყ. გამგეს—4000 მან. საქმის მწარმოებლებს 2300 მან., საქმის მწარმოებლებს ეკონომიურსა და სასურსათო განყ-ში კი 2,000 მან.; რეგისტრატორებს 1600 მან., ბუხგალტრის თანაშემწეს 2500 მან; უფროს მოანგარიშეს—2200 მან; უმცროს მოანგარიშეს—1700 მან. მოლარეს—2500 მან., სასკოლო ინსპექტორებს—3200 მან., ინჟენერს 4000 მან; ტეხნიკებს—2800 მან., გზის მეთვალყურეს—1200 მან., აგრონომს—4000 მან., აგრონ. ინსტრუქტორებს—2000 მან., საველტერინარო ფერშლებს 2000 მან., გზის დარაჯებს—1000 მან., შიკრიკებს 1000 მან. აგრონ. ტეხნიკებს—1800 მან., საადგ.—მამ. განყოფ. ინსტრუქტორს—2300 მან; სასურსათო საწყობის გამგეს—2500 მან., მის თანაშემწეს 1800 მან. საქმის მწარმოებლის თანაშემწეს—1800 მან. მანქანაზე გადამწერლებს 1500 მან. ეკზიკუტორს 1800 მან., მეეტლეს—1500 მან. ლამის დარაჯებს და მუშებს 1000 მან., ბულგალტერს უნიშნავს გამგეობა თავის შეხედულებით.

ამასთანავე ყრილობა ადგენს. „უკეთუ დამფუძნებელი კრება შესაფერად არ გააღიდებს მომრიგებელ მოსამართლეთა ჯამაგირებს, გამგეობას უფლება ეძლევა შესაფერისი დამატება დაენიშნოს მათ“.

დღიურები.

ყრილობა აგრეთვე ამტკიცებს კომისიის მოხსენებას გამგეობის წევრთათვის დღიურე-

ბის 200 მანეთითა და მოსამსახურეთა—კი—150 მანეთით და ხმოსნების—100 მანეთით განსაზღვრის შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ბ-ნი გ. ბერეტიანის განცხადებით თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ყრილობა სოც.-დემოკრ. ფრაქციის წინადადების თანახმათ უყურადღებოთ სტოვებს.

ზ ო მ ე ნ ტ ი

უკანასკნელათ ყრილობის თავმჯდომარე ბ. ჩხეიძეშვილი მიმართავს რა ყრილობას შესაფერი სიტყვით, რომელშიაც ასურათებს დღეგანდელ მომენტს და მოუწოდებს ხმოსნებს, რომ ისინი ფხიზელ დარაჯათ ედგნენ "საქართველოს რესპუბლიკას და გონიერ დადგენილებებს ყრილობისას კიდევ უფრო გონიერათ ატარებდენ ცხოვრებაში რესპუბლიკის საკეთილდღეოთ ყრილობას აცხადებს დახურულათ ადამის 10 საათზე.

ხუსეინ.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ოზურგეთის ქალაქის საბჭომ 17 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა:

დაევალოს გამგეობას ბაზარში ხუნდაძის აფთიაქის გადმოტანის საკითხში იმოქმედოს კანონის ფარგლებში, ე. ი. არ დაუშვას კერძო აფთიაქის გახსნა ქალაქის აფთიაქიდან არა უახლოვეს ასი (100) საჟენისა.

დაევალოს გამგეობას აუცილებლათ შეიძინოს ქალთა გიმნაზიის საჭიროებისათვის დიმ. ერისთავის ორ სართულიანი ქვის შენობა, ეთხოვოს მთავრობას ამ მამულის შესაძენათ მიეცეს ქალაქს დახმარების სახით 100000 მანეთი, ანდა მოკლევადიანი უპროცენტო სესხი 200000 მანეთი.

ცნობილ იქნას სამსონ ბერძენიშვილის ამხანაგათ მასიკო კალანდაძე და გადახდეთ მათ ნაცვლათ 1500 მანეთისა 2500 მანეთი. უყურადღებოთ იქნას დატოვებული საჩივრები: გრიგორი მკურნალის, სამსონ მიქელაიშვილის, ალექსი ორაგველიძის და პეტრე ეფრემიდისა.

ვაჟთა გიმნაზიაში წარმომადგენლათ ნაცვლად ხმ. ნიკ. დოლიძისა საბჭომ აირჩია ხმ. სევასტი დოლიძე.

საბჭომ მოისმინა რა ვაჟთა გიმნაზიის მომართვა სამუსიკო ინსტრუმენტების შესაძენათ ქალაქიდან დახმარების აღმოჩენის შესახებ, დაადგინა: გადაიდოს ქალაქის კასიდან გიმნაზიისათვის ინსტრუმენტების შესაძენათ 3000 მანეთი.

დაბოლოს, საბჭოს მოხსენდა რა მისივე მომართვა გიმნაზიის უღარიბეს მოსწავლეების გასანთავისუფლებლათ თანხის გადადების შესახებ, მცირე კამათის შემდეგ დაადგინა: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში და აგრეთვე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში: ქალაქის ხარჯით განთავისუფლდენ ყოველ წლობით სწავლის ფულისაგან სამ-სამი ქალაქის მცხოვრების ნიჭიერი და ღარიბი მოწაფე, რომლის გამორკვევა დაევალა გამგეობას.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

უორდროპის შუამდგომლობა

ქალაქის თავმა მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენელის ამიერ კავკასიაში უორდროპის წერილი, რომლითაც ის თხოულობს ნუ გაიგზავნება ტფილისიდან გადასახლებულები ბათუმით, რადგან ამ ჟამად ბათუმში არის პურის ნაკლებობა. ამ თხოვნას ქალაქის გამგეობა დღეს განიხილავს.

ტფილისის გაწმენდისათვის.

კომისია, რომელიც შესდგა ტფილისიდან უსაქმურ ელემენტების გადასასახლებლად განაგრძობს მუშაობას. სიები იმ პირთა, რომლებსაც ეს კანონი ეხება თითქმის შედგენილია. უკანასკნელნი უნდა გავიდენ ქალაქიდან ამ დღეებში, რადგან ორი კვირა უკვე გავიდა. —ვინც ნებით არ დასტოვებს ქალაქს ძალით გაიგზავნება. მიღებულია ზომები, რომ ამ საქმის შესრულების დროს არავითარ ბოროტმოქმედებას არ ექნეს ადგილი.

ვერის ხიდის შეკეთება.

ქალაქის გამგეობის სხდომაზე ორ დეკემბერს, მოსმენილ იქნა გამგეობის წევრის ბესელიძის მოხსენება ვერის ხიდის შესახებ, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამად ხიდი საშიშარ მდგომარეობაშია, თითქმის სრულიად დამპალია ფიცრები და სხვ., მოხსენების შემდეგ გამგეობამ დაადგინა: შეჩერებულ იქნას ხიდზე ტრამვაის, ეტლის და ავტომობილების მიმოსვლა და შეუდგეს მის საჩქაროთ შეკეთებას.

სასურსათო განყოფილებაში.

ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აძლევს მცხოვრებთ ნავთს 1 მ. 50 კაპ. გირვანქას ამხ. „სვეტის", „ალმ. კავკ. ამხ.„ საწყობებიდან, ჩერქეზიშვილის ქ. და მიხეილ ნაზაროვის საწყობიდან ნავთლუღში. ორდერების მიღება შეიძლება სასურ. განყოფილებიდან სასახლის და შტაბის ქ. კუთხე. აძლევს აგრეთვე კომბოსტოს ყველა საუბნო, სარაიონო და სახლის კომიტეტებს და დაწესებულებათა მოსამსახურეებს განუსაზღვრელ რაოდენობით 55 მან. ფუთს.

—

სასურსათო განყოფილება განუსაზღვრელ რაოდენობით სცვლის (მანეთს მანეთზე) „კერენკებს" (250 მან. და 1000 მან.) და აგრეთვე დონის ფულსაც (100 მან., 250 მან. 500 მან. და 1000 მან.) ამიერ-კავკასიის კომისარიატისა და საქართველოს რესპუბლიკის ბონებზე.

ნ ი ხ რ ი.

ნიხრი დამტკიცებული ტფილისის ქალ. თვითმართველობის მიერ ნოემბრის 27-ს.

ლობიო წითელი—5 მან. გირვანქა გურული—6 მან. გირვანქა. ხახვი ფუთი—80 მან., გირ.—2 მ. 50 კ. კარტოფილი ფუთი 110 მ., გირ.—3 მ. 50 კ. ნახშირი ხისა ფუთი 42 მან. ფუთი 38 მ. (ბითუმათ) რძე—5 მან. (კრუჟკა). მარილი—40 მან. ფუთი, დაუფქველი 60 მან. ფუთი დაფქვილი 1 მ. 50 კ. გირვ. დაფქვილი. ქონი—25 მან. საქონლის 30 მან. დუბის. ღორის ხორცი უკანო—15 მ. კანით—16 მან. ბითუმათ 30 მ. იაფი ფუთი. თავის ხორცი—8 მ. გირვ. ღორის ქონი დაუდნობელი—35 მ. გირ. კომბოსტო—1 მ. 60 კ. გირ., 60 მ. ფ.

სურსათის ანგარიში.

ტფილ. ქალაქ. სასურსათო განყოფ. მოქმედება ოქტომბრის განმავლობაში.

ოქტომბერში სასურსათო განყოფილებას ქონდა სულ საქონელი 13.286,200 მან., აქედან 1-ელ ოქტომბერში იყო საწყობებში 5.512,691 მან. საქონელი და ოქტომბერში შემოვიდა 7.773,509 მან. 1 ნოემბერს დარჩენილი საქონელი იყო 8.496,176 მ. ოქტომბერში განყოფილებამ სულ დაარიგა სურსათი 5.558,673 მან. ფაქტიურათ 6 მილიონამდე არის მხოლოდ ჯერ ზოგი ანგარიშები არ არის შედგენილი. ოქტომბრის განმავლობაში დარიგდა სურსათი: 25,100 ფ. პური, 950 ფ. კარტოფილი, 850 ფ. მარცვლ., 2.500 ფ. მარილი, 600 ფ. შაქარი, 8,627 ფ. ნავთი, 2.354 ფ. ნახშირი, 3,500 ფ. თივა, 300 ფ. საპონი და სხვ.

სურსათი ნაწილდებოდა უმეტეს ნაწილად ღარიბ მცხოვრებთა შორის და განსაკუთრებით ქ. ტფ. მუშათა და მოსამსახურეთა შორის.

განაწილებულია ოქტომბრის განმავლობაში: ქალაქის დაწესებულებებს და ქალაქის გამგეობის მუშა მოსამსახურებს: პური—6.000 ფუთი (23,9%), ნავთი 742 ფუთი (8,6%) სულ სურსათი—1.820.000 მ. (32,74%), სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურებს პური—12.000 ფ. (47,8%), ნავთი—2.241 ფ. (26%), სულ სურსათი—1.816.000 მ. (32,66%); სულ ქ. ტფილ. მოსამსახურებსა და მუშებს: პური—71,7%, ნავთი—34,6%, სულ სურსათი—65,4%, დანარჩენ მცხოვრებთ სარაიონო და სახლის კომიტეტის საშუალებით: პური—7.100 ფ. (28,3%), ნავთი—3.644 ფ. (65,4%), სულ სურსათი—1.924.000 მან. (34,6%), ეს ნუსხა გვაჩვენებს, რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია მოსამსახურებსა და მუშებზე; ამ კატეგორიას მიეცა მთელი სურსათის 2/3. განყოფილების მუშაობაზე წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე სურსათის რაოდენობის გადმოზიდვა. აგვისტოში გადმოზიდულია 37.025 ფ. 15¼ გ., სექტემბერში—31.466 ფ. 09½ ფ., ოქტომბერში—97.668 ფ. 39¾ გირვ. სულ 3 თვეში 166.160 ფ. 34½ გირვ., იმ დროს, როდესაც წასულ 7 თვეში გადმოზიდულია 161.533 ფ. 08¾ გირ.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

ტფილისის მაზრაში

მიმდინარე დეკემბრის პირველში ტფილისის მაზრის ერობის გამგეობის ბინაზე დ. ვ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ტფ. მაზრაში აგრარულ რეფორმის გამტარებელი კომისიების თავმჯდომარეების, მდივნების და მიწის მზომელების საერთო ყრილობის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: მანგლისის, პრიუტის, ალბულაღის, დილმის, ავჭალის, თელეთის, სართიჭალის, ასურეთის და საგარეჯოს წარმომადგენლები.

ყრილობის მიზანი იყო წარსული მოქმედების გათვალისწინება და მომავალი მუშაობისათვის გეგმის შემუშავება.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, კატეგორიებათ დაყოფილ და შეფასებული, მცხოვრებთა შორის დასანაწილებელის ფონდის მიწების სიები, ყველგან დამთავრებულია და წარმოდგენილია მიწათ-მოქმედების სამინისტროში დასამტკიცებლად, ხოლო ზოგიერთ ადგილას მაგალითად თელავის რაიონში დანაწილება უკვე დაიწყო, უკანასკნელიდან წარსულ ნოემბერში შესულა ტფილისის ხაზინაში 180,000 მან. რეფორმის სასწრაფო გასატარებლათ ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რომ თანახმად მიწათ-მოქმედების სამინისტროს დადგენილებისა, კომისიების მუშაობა ზამთრის სეზონში არ იყოს შეწყვეტილი იმ რაიონებში სადაც ადგილობრივი და ბუნებრივი პირობები ხელს არ შეუშლიან ტეხნიკურ მუშაობის წარმოებას.

ყრილობის აზრით ფონდის მამულების უმი წაწყლო მცხოვრებთა შორის სრული დანაწილება ტფილისის მაზრაში ექვსი თვის განმავლობაში დამთავრდება.

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠ ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის სასწრაფო სხდომა შესდგება 3 დეკემბერს ბ-ნ კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც სხდომას აუწყა კომპოზიტორ სულხანიშვილის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და ერთხმათ დაადგინა: გაეგზავნოს განსვენებულის ოჯახს თელავში სამძიმრის დეპეშა და დაკრძალვის ხარჯები თვით იკისროს; განსვენებულის ოჯახზე მთელი მზრუნველობა მიიღოს თავის თავზე; განსვენებული დაიკრძალოს ტფილისში დიდუბის პანთეონში კვირას, 7 დეკემბერს და დასასრულ აირჩია დამკრძალავი კომიტეტი, რომელშიაც შედია: ს. ჟორჟოლიანი, ალ. ახმეტელი, ილ. აბაშიძე, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, რ. ბებიაშვილი, შ. ჭარუმიძე და დ. პავლიაშვილი.

გლოვის ნიშნათ მოხსნილ იქნა საზოგადოების კონცერტები, რომელიც ამ დღეებში უნდა გამართულიყო.

საზოგადოების სახელით სამგლოვიარო დეპეშები დაეგზავნა სოხუმის, თელავის, სიღნაღის განყოფილებებს და სხვა და სხვა ორგანიზაციებს.

დამკრძალავმა კომიტეტმა დაადგინა განსვენებულის კუბო გვირგვინით არ შეამკონ და სამაგიეროთ მსურველებმა ფული გადასდონ განსვენებულის ოჯახის დასახმარებლათ.

დღეს, 5 დეკემბერს განსვენებულის კუბოსთან, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პირველი პანაშვიდი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

(საქ. დეპ. სააგ.).

ფრანგული პრესა.

სამხედრო ტყვეების შესახებ გერმანიის მიერ გაგზავნილი ნოტის საპასუხოდ კლემანსომ ფონ ლერსნერს მიმართა წერილით, რომელიც თითქმის სავსებით მოგვყავს: ბ. თავმჯდომარეო, ა. წ. 27 ნოემბერს თქვენმე მომმართეთ წერილით გერმანელ სამხედრო ტყვეების შესახებ, აღნიშნულ თქვენ წერილში არის მთელი რიგი მტკიცებათა, რომელთა მკაცრი ტონი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მათი სიბრუდე დაიმალოს. საერთოდ სამხედრო ტყვეების საკითხში გერმანიას აქვს ერთი უფლება, რომელიც საზავო ხელშეკრულებაშია ჩამოყალიბებული და ხელმოწერილი, —რომ ტყვეების უკან დაბრუნება მოხდეს იმ დღიდან, როდესაც რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საზავო ხელშეკრულება საბოლოოდ ძალაში შევა. ამ პირობათა ყოველგვარი შეცვლა მოწყალება იქნება. თქვენი მტკიცება, თითქოს ტყვეები უდანაშაულო მსხვერპლნი არიან და ომის საკითხში უპასუხისმგებელნი, ვერ ითმენს. (დამახინჯებულია).

29 აგვისტოს დეკლარაცია არ იყო საფრანგეთისა და გერმანიის შორის ყოფილ მოლაპარაკებათა შედეგი. ეს არის ყველა მოკავშირეთა ჰუმანიური დეკლარაცია, რომელიც გერმანელ სამხედრო ტყვეთა საერთო მასას ეხება. დეკლარაცია პირველ ყოვლისა პირდება ტყვეების დაუყონებლივ განთავისუფლებას და შემდეგ ამავე კეთილმყოფელ პოლიტიკის შესაძლებელ შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მთავრობა და ხალხი არ შეასრულებს ყველა ვალდებულებათ, რომელიც მათ უნდა აესრულებინ დროებით ზავის შესახებ დადებულ ხელშეკრულების ძალით. ამ დადებულების თანახმად მოკავშირეებმა ტყვეების [illegible] ინგლისს, ამერიკას და ბელგიიდან დაბრუნებით. გერმანელ სამხედრო ტყვეთა შინ დაბრუნება შეჩერებულ იქნა იმავე 29 აგვისტოს დეკლარაციის თანახმად, რადგანაც გერმანიამ არ აასრულა, ან უკეთ ვსთქვათ ნაწილობრივ არ აასრულა დროებით ზავის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობები. ამგვარად შეპირებანი და მუქარა, რომელიც მოკავშირეებმა თავისუფლად განაცხადეს სისწორით მოყვანილ იქნა სისრულეში. 1 ნოემბერს გერმანიის მთავრობის ყურადღება მიქცეულ იქნა იმ გარემოებაზე, რომ იგი გაურბოდა იმ ვალდებულებას, რომელიც 1918 წლის 11 ნოემბრის დროებით ზავის შესახებ დადებულ ხელშეკრულება ჰქონდა მას დავალებული.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲒᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲜᲘ.

1) პაიჭაძე პ. ქუთაისის გუბ. გარდ. 16 მარტს, 15 წ. მარხია სილვის ბანაკში.

2) ნიკობაძე ისიდორე. გარდაიცვალა 26 თებერვალს 1919 წ. მარხია იქვე.

3) მარკალაშვილი ივანე, ტფილისის გუბ. 24 სექტემბერს, მარხია მერცდორფში.

4) ჩიტიაშვილი ლაზარე, ტფილისის გუბერ. გარდ. 5 ნოემბერს 1916 წ. მარხია მერცდორფში.

5) ჯაგიშვილი გრიგორ, ქუთაისის გუბ. გარდ. 18 ოქტომბერს 1917 წ. მარხია მერცდორფში.

6) ჯავაშვილი ივანე, ტფილისის გუბ. გარდ. 5 აპრილს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

7) კაბრაიძე გიორგი, ტფილისის გუბ. გარდ. 30 აპრილს 1919 წ. მარხია გორდენში.

8) შიბითიძე სარდიონ, ტფილისის გუბ. გარდ. 13 მაისს 1918 წ. მარხია შტრაგგარდში (პრუსია).

9) ტიკილაშვილი, ტფილისის გუბ. გარდ. 5 ოქტომბერ 1918 წ. მარხია გუტრინში.

10) ელიაშვილი მიხეილ ტფილისის გუბ. გარდ. 16 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

11) აბაზაძე გრიგოლ, სურამელი გარდ. 26 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

12) ხოჩილავა ფილიპე, კვათანელი, გარდ. 29 სექტემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

13) ჩაიევი დავითი, ქუთაისის გუბ. გარდ. 20 ოქტომბერს 1918 წ. მარხია სელნივაში.,

14) გუდავაშვილი გრიგოლ, ტფილისელი, გარდ. 19 ოქტომბერს 1918 წ. მარხია ბურვარდში.

15) ჩიტოვლიძე მაქსიმე, ტფილისელი გარდ. 19 ნოემბერს 1918 წ. მარხია ბიურსტენფელდში.

16) გობალია ლუკა, ქუთაისის გუბ. გარდაიცვალა 3 ნოემბერს 1918 წ. მარხია ბერლინში.

17) მოსანიშვილი სტეფანე, ტფილისის გუბ. გარდ. 1 ნოემბერს 1918 წ. მარხია მერცდორფში.

18) ბაბუნაშვილი პოლიკარპე, ტფილისის გუბ. გარდ. 21 ნოემბერს 1918 წ. მარხია არსნდვალში.

19) თევზაძე ალექსი, ტფილისის გუბ. გარდ. 26 თებერვალს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

20) აბაბული გრიგოლი, გომბორელი, გარდ. 13 მარტს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

21) ყუბანეიშვილი სილოვანი, ქუთაისის გუბ. გარდ. 29 მარტს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

22) ვოკრაბელიშვილი ვლადიმერ, კარისხეველი. გარდ. 17 აპრილს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

23) კარტოზია მიხეილ, ქუთაისელი, გარდ. 10 ივნისს 1918 წ. მარხია მერცდოფში.

24) ჩუკაშვილი ვ. იანეთელი, გარდაიცვალა 30 აპრილს 1919 წ. მარხია მერც დორფში.

25) მანაშვილი ივანე, ტფილისის გუბერნია, გარდაიცვალა 15 ივლისს 1919 წ. მარხია მერცდორფში.

ამ სიას ამოწმებს ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით კოტბუსის სამხედრო ტყვეთა ლაზარეთის მმართველი.

ხელოვნების კომისიაში.

პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრის დებულებისა:

ქუთაისის თეატრისათვის.

უნდა ვივარაუდოთ, როგორც შენახვა თეატრისა, ისე დასი ნახევარი ტფილისთან შედარებით, ე. ი. თეატრის შენახვა დაგვიჯდება 1.000.000 მანეთი და დასიც 1.000.000 მან. სულ 2.000.000 მ.

სტუდია (სკოლა)

(დრამატიული და საოპერო).

თანამდებობის პირნი.	მათი რაოდენ.	თითოს თვიური ჯამ.	ერთი წლიური ჯამაგირი.	სულ წელ.
დირექტორი სტუდიისა, ანუ გამგე ხელმძღვანელი თუ ერთათ იქმნა დრ. და საოპერო კლასები	1	200	2400	2400
		5000	60000	60000
		100*)	1200	2400
თუ ცალ-ცალკე	2	2500	30000	60000
	1600	გაკვ. ფ. 10	16000	16000
გაკვეთილები დღეში 4—4, 200 დღე (6²/₃ თვე)	გაკ.	100	160000	160000
		150	1800	3600
ხმის დამყენებელი	2	3000	36000	72000
		100	1200	1200
აკომპანიატორი	1	2500	30000	30000
		30	360	720
დარაჯი	2	2000	24000	48000
				1080
მოულოდნელი ხარჯები	—	—	30000	30000
				25000
სულ	—	—	—	400000

*) მეორე შემთხვევაში ნავარაუდევია ¹/₂ ჯამაგირი იმიტომ, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სტ. გამგეთ კიდევ ექნებათ თეატრში სხვა სამუშაო, მაშასადამე სხვა გასამრჯელოც.

შემოსავალი:

უნდა ვივარაუდოთ, რომ უკეთეს შეთხვევაში ხარჯები დაფარული იქნება, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ოპერაზე, რაც შეეხება დრამას აქ უფრო მოსალოდნელია დეფიციტი, ისიც უფრო მეტი ტფილისის დრამა საგან, ვიდრე ქუთაისისაგან.

დღევანდელ სინამდვილეში ჩვენ უნდა დაეყრდნოთ შემდეგ ციფრებს:

ტფილისის დრამისათვის ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა ვივარაუდოთ მინიმუმი 3 წარმოდგენა კვირაში, ხოლო თვეში 12. (ამას შეიძლება 4 დიდი წარმოდგენაც დაურთოთ). სეზონი რომ 8 თვე ვიანგარიშოთ წელიწადში ამ ანგარიშით გავმართავთ ას წარმოდგენას მაინც [(12×8)+4]=100. ვინიცობაა სეზონი უფრო ხანმოკლე იქნა, მაშინ 100 წარმოდგენას შეავსებენ სადღესასწაულო (შობისა და აღდგომის) წარმოდგენები. ეჭვს გარეშეა ერთი რამ. წელიწადში ტფ. დრამა მოგვცემს 100 წარმოდგენას. ამ ას წარმოდგენას ორთაშუა რიცხვი უნდა დაესწროს 600 მაყურებელი თითოს, სულ 100 წ-ნას (600×100)=60.000 მაყურებელი.

თითო მაყურებელი ორთაშუა რიცხვი გადაიხდის 20 მანეთს. ამგვარად ასი წარმოდგენის შემოსავალი 60000 მაყურებლისაგან უნდა იქნეს 60000×20=1200000 მ. იგივე 60000 მაყურებელი ტანისამოსის შესანახად გადიხდის ორთაშუა რიცხვი თითო 5 მ., რაც შეადგენს 60000×5=300000 მ. ამგვარად ტფილისის დრამის მინიმუმი შემოსავალი უნდა ვივარაუდოთ 1200000+300000=1500000, გასავალი იყო 4000000 მ., რასაც თუ გამოვაკლებ 1500000-ს მივიღებთ 2¹/₂ მილიონიან დეფიციტს.

რაც შეეხება ოპერას იქ სეზონი უნდა ვივარაუდოთ 7¹/₂ თვე. ყოველდღიური წარმოდგენით, რომელთა რიცხვი სეზონში უდრიდეს იქნება სულ 250 წარმოდგენას (7¹/₂ თვე =225 დღე+25 დილის წარმ.) ოპერას დაესწრება თითო წარმოდგენაზე 1000 მსმენელი, მაშასადამე სულ 1000×250=250000. თითო მსმენელი გადიხდის 20 მანეთს, რაც შეადგენს 20 მ.×250.000=5.000.000-ს. აქაც თითო მსმენელზე 5 მ. ტანისამოსის შესანახი გასჭრის 5 მ.×250.000=1.250.000. აქედან 250.000 რომ არ ვიანგარიშოთ კიდეც ტანისამოსის შესანახი გადასახადი მოგვცემს 1.000.000. მაინც უეჭველად ამ ამგვარად ოპერა თავის ხარჯებს აინაზღაურებს (5.000.000 წარმ. შემ.+1.000.000 ტან. შეს. სულ 6000000-იგივეა გასავალიც).

შენიშვნა: დღეს ოპერა მთავრობისაგან ღებულობს სუბსიდიას, ხოლო მოგება ანტრეპრენიორს რჩება, მაშინ ამ ანომალიასთან არ გვექნება საქმე.

ქუთაისის თეატრში შეიძლება 8 თვის განმავლობაში გაიმართოს 150 წარმოდგენა (კვირაში თუ ყოველდღე არა, 4-ჯერ მაინც, საშობაო და საღვთისმოსავლო დღესასწაულებზე და რამდენიმე დილით 22 წარ. (4×4×8+22=150). თითო წარმოდგენას [illegible] 500 მაყურებელი, მაშასადამე სულ 500×150=75.000. თითო მაყურებელი 20 მ. სულ 20 მ.×75.000=1.500.000 მ. ტანისამოსის შესანახიც თითოზე 3 მ. სულ 3 მ.×75.000=225.000. მაშასადამე ქუთ. თეატრის წლიური შემოსავალი იქნება 1.500.000 მ.+225.000 მ. =1.725.000. ამგვარად ქუთ. თეატრი იძლევა დეფიციტს მხოლოდ 275.000 მანეთს.

შენიშვნა: ჯერ კიდევ ომამდის ქუთაისი საშუალო რიცხვით ყოველ წლივ ხარჯავდა 11.443 მანეთს 58 ქართ. წარმოდგენისათვის, რიდესაც ერთი მაყურებელი საშუალოთ იხდიდა 43 კაპ., ხოლო მთელი სეზონის განმავლობაში მაყურებელთა რიცხვი უდრიდა 26077 კაცს, საშუალოდ თითო წარმოდგენას ესწრებოდა 462 კაცი. ხოლო იგივე ქუთაისი იმავე სეზონში ხარჯავდა 21.953 მანეთს ორა ქართულ წარმოდგენებზე. ეს ცნობები ამოღებულია ჩემ მიერ დამუშავებულ მასალებისგან ქუთ. თეატრის 5 წლის ცხოვრებიდან (1909-10—1914-15 წლის სეზონები). მასალები ახალი თეატრისათვის გაზ. „ჩვენი მეგობარი" № 27. 1916 წლის 1 აპრილისა. კ. ფ.

სტუდიასაც შეუძლიან მოგვცეს მცირეოდენი შემოსავალი: ორის სტუდიის შემოსავალი შეგვიძლიან ვივარაუდოთ 100.000 მ. ამგვარად სტუდიის შენახვა დაჯდება 300.000 მან. ამგვარად ჩვენს წინაშე იშლება შემდეგი ცხრილი:

გასავალი	ან შენახვა:
ტფ. დრამის	4.000.000.
ტფ. ოპერის	6.000.000.
ქუთაისის	2.000.000.
სტუდიის	400.000.
სულ	12.400.000.

შემოსავალი:	დეფიციტი:
1.500.000.	2.500.000.
6.000.000.	—
1.125.000.	1.175.000.
100.000.	300.000.
9.325.000.	3.075.000.

გასავალს უნდა მიემატოს კიდევ საავტორო ჰონორარი, რომელსაც ჩვენ ამგვარად ვანგარიშობთ. ნახევარი წარმოდგენებისა იქნება ძველი პიესებისაგან, ე. ი. ისეთი ავტორებისა, რომელთათვის საავტორო ჰონორარის მიცემა საჭირო არ იქნება, ხოლო მეორე ნახევარის ჰონორარს ვანგარიშობთ სრული შემოსავლის 10%-ს, რაც შეადგენს (1.200.000+5.000.000+1.500.000+100.000=7.800000 მ. (ამ ჯამში არ შედის ტანისამოსის შესანახი): 2=3.900.000, რომლის 10%-ს შეადგენს 390.000-ს. ესეც, რასაკვირველია გასავალს უნდა მიემატოს, რაც დეფიციტს ასწევს 3.465.000 მდის. რაც უნდა გავაზვიადოთ დეფიციტი იგი 4 მილიონს არ გადაამეტებს და ამ თანხის გაღებას კი, ჩვენის აზრით, რესპუბლიკის ინტერესები დაუყონებლივ მოითხოვს სახელმწიფო დრამის, ოპერის, ქუთაისის თეატრისა და საოპერო და დრამატიული სტუდიის შესაქმნელად.

პროექტის ავტორი დიდის მადლობით მიიღებს ყოველგვარ შენიშვნებს სიტყვიერად, თუ წერილობით (მისამართი: ტფილისი. ერმოლოვის ქ. № 6. აკ. ფალავას).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაკარგულია გეორქ გრიგორის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან აღებული საოჯახო მოწმობა № 1818 1918 წ. 25 მარტს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 292 3—2

დაკარგულია ართოვაზდა გიორგის ძე გრიგორიანცის მიერ ყარსის სიმაგრეს ინტენდანტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა № 3055 1918 წ. 29 მაისს. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 292 3—2

დავით ბახტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1482, აღებული 21 მკათათვეს 1919 წ. ტფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. 298 3—2

ნიკოლოზ პეტრეს ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის სადგურზე „შინელი" რომელშიდაც იყო საჭირო სამუთები, სხვათაშორის სტუდენტის კალენდარი 1915—16 წ. მოსკოვის აკადემიის და უნივერსიტეტის კანცელარიიდან აღებული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ დოკუმენტები გაგზავნონ ფოთში მე-2 ე სანაპირო რაზმის ადიუტანტის ნიკ. ლორთქიფანიძის სახელზე. 288 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 87043—70 მან. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—2

დაკარგულია პორფირე მუზეკუხინის მიერ ტფილისის მილიციის სამმართველოდან აღებული პასპორტი № 3053. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 284 3—2

დაკარგულია ამბენ ოგანეზიანცის სახელზე აღებულ პიდადობის მოწმობა. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 283 3—2

გრიგოლ ორაფოვის ძე აზიბეკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ქალაქის გამგეობიდან აღებული და ხელოსანთა კავშირიდან აღებული მოწმობა № 125. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 285 3—1

ვლადიმერ დავითის ძე ჩელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 293 3—1

არამაის არაქელის ძე აბროიანი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 7847, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 296 3—1

დაკარგულია უვადო პასპორტი ტფილ. მოქალაქის მიხეილ იაგორის ძე ზოვაროვის სახელზე. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 279 3—1

ქ. ტფილისის მე-22 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ აკოფ სტეფანის ძე პოპოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პოპოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხლში აღნ. ვადაში. 281 3—1

დაკარგულია მოწმობები, მიღებული ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლიდან: ვასილ ტომილინის, გიორგი ონიკაშვილის, დავით ერაძის, ნიკოლოზ კოვალიოვის, ივანე კოვალიოვის, იუსტინ ჭორლოლაშვილის, მიხეილ ნასარიძის, დიმიტრი დავითაშვილის, ნიკოლოზ სიპინის, ამოტ ვაგრამოვის, ვლადიმერ სულთანიშვილის, ალექსან. საყვარელიძის, ივანე ზოტოვის, რომან ბოიარსკის, ვლადიმერ სომოილინის, გაიკ ზახარიანის, ერვანდ მალინიანცის, ისიდორე ივანიძის, თარხან მოურავის, გიორგი მარგიშვილის, სერგი ჰუგაევის, არ. ბაგანაშვილის, არჩუაძე ელიზბარის, ციხისელის, კარაპეტ შავერდიანის. მოწმობები გმუქმებულათ ითვლება. 277 3—1

ბორჯომის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ ლაზარეს ძე ჩაჩანიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩაჩანიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 144 3—2

საკონკურსო სამმართველო გაკოტრებულ მოვალის აწ გარდაცვალებულის ნიკოლოზ რევაზის ძე გოგნიევის საქმის შესახებ, თანახმათ ტფილისის ოლქ. სასამ. 1919 წ. თებერვლის 19 დადგენილებით იწვევს ბ. კრედიტორებს საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება დეკემბრის 7-ს დილის 11 საათზე ლ. ვ. ნეტლიკის ბინაზე, დავითის ქ., № 2, საკონკურსო სამმართველოს ახალი თავმჯდომარის ასარჩევათ, გარდაცვალებულ პაპოვიანცის მაგიერ 276 1—1

ვარლამ ბესარიონის ძე ტომონიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა საზღვარ გარეთ გასვლის პასპორტი მიღებული გარეშე საქმეთა სამინისტროდან 1|X № №6872. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 324 3—1

რუბენ ალექსის ძე კაკაიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ქალაქის სამმართველოდან № 174. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 316 3—1

დიმიტრი ანდრიას ძე ახვერდოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ბორჩალოს მაზ. ს. ოფრეთის საზოგადოების სამმართველოდან 1912 წ. № 252. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 321 3—1

ივანე ფილიპეს ძე პეტროვო-არბუძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული რუსთა ეროვნულ საბჭოდან 18|X. 1919 წ. № 6234. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 319 3—1

ხრესილის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით 3 ნოემბრიდგან 1919 წ. დიანოს პეტრეს ძე ჟორჟოლაძე, კალენიკე ვარლამის ძე გვენეტაძე, და ერმოგენ ფილიპეს ძე ჩუბინიძე ინიშნებიან ხრესილის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის გადამწერათ პირველ ნოემბრიდან. 129 1—1

საქართველოს სახაზინო რჩინის გზათა მმართველობა.

ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ა|წ 16 დეკემბერს, დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ბაგაჟი: ბათუმიდგან-რიონი, რიგ. № 664 სატვ. ბარ. № 16383—4 ც.-5 ფ. 21 გირ., ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ. № 647 სატვ. ბარ. № 99520 5 ც. 21 ფ. 15 გირ., ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ. № 605 სატვ. ბარ. № 53467, 1 ც. 3 ფ. 26 გ., გორიდან—ტფილისი, რიგ. № 619, სატვ. ბარ. № 80433, 1 ც. 2 ფ. 13 გ. საჩხერიდან—ტფილისი, რიგ. № 621 სატვ. ბარ. № 13499, 1 ც. 1 ფ. 10 გირ., ბაქოდან—ტფილისი, რიგი № 618 სატვ. ბარგი № 5974|5933 1 ც. 1 ფ. 20 გ. ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ., № 604, სატვ. ბარ. № 53458 1 ც. 4 ფ. ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ. № 604 სატ. ბარ. № 53459 1 ც. 4 ფ. 31 გ. ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ. № 607 სატვ. ბარ. № 53462 1 ც. 5 გ., ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ. № 608 სატვ. ბარ. № 53461 1 ც. 4 ფ. 17 გ. ბორჯომიდან—ტფილისი, რიგ., № 609 სატვ. ბარ. № 53460 1 ც. 5 ფ. ბათუმიდან—ტფილისი, რიგ. № 613, სატვ. ბარ. № 4928 1 ც. 5 გ. ქუთაისიდან—ტფილისი რიგ. № 614, სატვ. ბარ. № 51119 1 ც. 3 გირ. ქუთაისიდან—ტფილისი, რიგ. № 615 სატვ. ბარ. № 52383 1 ც. 3 გ. ქუთაისიდან—ტფილისი, რიგ. № 616 სატვ. ბარ. № 51907 1 ც. 3 გ. ქუთაისიდან—ტფილისი, რიგი № 617 სატვ. ბარ. № 51533 1 ც. 3 გ. ბათუმიდან—ტფილისი, რიგ. № 612 სატვ. ბარ. № 5080 1 ც. 07 გ.,

უსაბუთო ტვირთი: აქტით. სად. ტფილისი— № 2370 1 ც., სიმინდი 5 ფ. 10 გირ. აქტით № 912 52 ც. მარილი 48 ფ. და 24 ნითრი 1 ფ. 25 გ. აქტით № 2678 რიგ. № 632 270 ც. რეზინის ნაჭერი 592 ფ. 08 გ. აქტით № 2744 რიგ. № 644 2 ც. რკინის ჯაჭვი 8 ფ. 15 გ., აქტით № 1822 რიგ. № 472 1 ც. ცარიელი ქუთ. 2 ფ. 5 გ. აქტით სად. ბორჯომი № 76 რიგ. № 652 16 ც. ბოჩქები ცარიელი 32 ფ., აქტ. სად. ნავთლული № 188 რიგ, № 859 8 ც, ურმების ნაწილები 160 ფ., აქტით სად. ზესტაფონი № 1117 რიგ. № 653 1 ც. ქვაბი რკინის 3 ფ. 26 გ. რიგ. № 663 1 ც. სიმინდი 3 ფ. (საპოვნი სად. ამბაში).

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. დრ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი